საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1701-03
26/09/2024

„2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2024 წლის 29 ივლისის N1004-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, “პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლების და მეცნიერებათა მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ნიკოლოზ ყაველაშვილის 2024 წლის 26 სექტემბრის N16895-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2024 წლის 29 ივლისის N1004-03 ბრძანების 1-ელი პუნქტით განსაზღვრულ დანართში, კერძოდ ადგილების რაოდენობის ნაწილში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურს,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, ბიბლიოთეკას, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ყველა ადმინისტაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი